«დროების» რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

არწრუნის თეატრი.

დღეს, 17 თებერვალს

ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გამართავს წარმოდგენას ქართული დრამატიული დასის დახმარებით. მონაწილეობას მიიღებენ სცენის მოყვარენი

წარმოდგენილი იქნება:

სამშობლო!

დრამა ხუთ მოქმედებად და ექვს სურათად ფრანციცულიდგან გადმოკეთებული თ. დ. ერისთავისაგან.

დასაწყისი 8 საათზედ. (2—2)

ტფილისის უეზდის კეთილშობილთ წინამძღოლმელი უმორჩილესად სთხოვს თავად-აზნაურობას ტფილისის უეზდისასა, მობძანდენ კვირას ცხრამეტს ამა თებერვლისასა, თერთმეტს საათზედ დილით, განსაკუთრებითს უეზდის თავად-აზნაურობითს შეკრებილებაში, ტფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკში, შესადგენლად იმ სიებისა, რომლებითაც უნდა გამოერთვათ თავად-აზნაურობას ფული, სასარგებლოდ თფილისის კეთილშობილთ დეპუტატთ კრების და მარშლების კანცელარიებისათვინ და აგრეთვე აღსაზდელად თავად-აზნაურობის შვილებისა; — ამასაც ვაცნობებ, რომელნიც თავად-აზნაურნი არ

«დროების» ფელეტონი, 17 თებერვ.

ბატონიშვილი იულონ

(გუძღვნიბეს. ფურც—ძეს)

«დაშინენ მას ძენი, მის ძენი,
მათსა ვიტყოდეთ ქებასა:
გმირნი მამაცად აღზრდილნი,
ჰყოფენ კეთილსა ძმობასა;
მტერთა მისცემენ პასუხსა,
მოყვმეთა თანაძმობასა!...

(ხალხური ლექსი)

ბევრი უკანასკნელ მემკვიდრეთა საქართველოის ტახტისა (ირაკლი II-ის და ბიორგი მე-XIII ძეთა) ფრიად შესანიშნავია, მაგრამ ცნობანი მათს ცხოვრებაზე დაფანტულნი არიან სხვადა-სხვა აქტებში, და, თუ არა ვსცდებით, ჯერ არავისგან არა ყოფილან შეკრებილნი და სისტემატიურად აღწერილნი.

უკანასკნელ ბატონიშვილთ ცხოვრება წარმოგვიდგენს დაუდგრომელ, მღელვარე სანახაობას. ბაგრატიონნი, რომელნიც ათას წელზე მეტი საქართველოს ტახტზე ისხდენ, რომელნიც გულ-მოდგინებით ზრუნავდენ თავიანთ სამეფოსათვის და იფარავდენ მას მტრებისაგან, — იძულებულნი შეიქმნენ მოესპოთ თავიანთი ხანგრძლივი მეფობა ივერიის ტახტ-

ინებებენ შეკრებილებაში დასწრება. სა, უიმათ თანადაესწრობლივ შესდგება სიები, ზემოთ მოხსენებულ საქმის საჭიროებისათვინ.

გლეხ-კაცობისაგან მამულების შესყიდვა და შუამავალ მომრიგებელთა ინსტიტუტი.

თბილისი, 17 თებერვალს.

ოცი წელიწადია მას აქეთ, რაც ჩვენში გაუქმებულ იქმნა ბატონყმობა. ეხლა შეგვიძლიან ვიკითხოთ, თუ რაოდენად განხორციელდა რეფორმის დედა-აზრები, რაოდენი სიკეთე და ბედნიერება მიანიჭა ხალხს მონობისაგან განთავისუფლებამ, შეიქმნა თუ არა გლეხ-კაცობა მიწის დამოუკიდებელი მფლობელი.

ადვილად წარმოსადგენი იყო, რომ ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ გლეხ-კაცობა შესყიდვით შეიძენდა საკუთრებად რეფორმის ძალით მისდამი მიჩენილს მამულებს; ეს იმედი რომ აღსრულებულიყო, მაშინ, უექველია, გლეხ-კაცობის მატერიალური მდგომარეობა წარმატებაში შევიდოდა და, მაშასადამე, უმთავრესი დედა-აზრი რეფორმისა განხორციელებულ იქმნებოდა. მმართებლობამ გლეხ-კაცობისაგან მამულების შესყიდვის საქმის გასაადვილებლად და საწარმოებლად შემოიღო შუამავალ მომრიგებელთა ინსტიტუტი; შუამა-

---

ზე. და აი მათის სახელის აღსადგენად გამოვიდენ უკანასკნელნი ბაგრატიონნი—ბატონიშვილები, რომელნიც გულ-მოდგინედ აგონებდენ ხალხს, რათა მოენდომა მეფედ ისევე ვინმე ბაგრატიონთაგანი. მაგრამ ყოველი მათი ღონისძიება ამაოდ დარჩა, ყოველი მათი განზრახვა ჩაიშალა და თითქმის ყველანი რუსეთში გადასახლდენ.

1798 წელს, 11 იანვარს, მთელს საქართველოს ეწვია დიდი უბედურება: ქ. თელავში, 52 წლის თვისის გმირულის მეფობის შემდგომ, შემახიდამ შემოტანილი ავადმყოფობით გარდაიცვალა მეფე ირაკლი II, ის ირაკლი, «დღენი რომელსაც ემგზავსნეს წასულნი ბრწყინვით მზესა». გარდაიცვალა ირაკლი და იმის შემდეგ საქართველო შეიქმნა აჯანყებათა და ამბოხებათა ასპარეზად....

მეფე ირაკლი II-ს ჰყვანდა პირველი მეუღლის (მარიამისაგან) ბიორგი, და მეორე მეუღლის (დარეჯან, ბიორგი დადიანის ასულისაგან) იულონი, ვახტანგი, ანტონი (ქათალიკოზი), მირიანე, ალექსანდრე და ფარნაოზი.

ირაკლიმ დასდო ანდერძი, რათა ემეფა პირველად იმის პირმშო ძეს,

ბიორგის, შემდეგ იმის ძმას იულონს, შემდეგ ამისა ძმას მირიანს, ვახტანგს, ალექსანდრეს და მერე ფარნაოზს. შემდგომად ფარნაოზისა მეფობითი უფლება გარდაიდოდა მეფის ბიორგის შვილზედ, დავითზედ, მეორედ იოანეზედ, ბაგრატზედ, თეიმურაზზედ და სხვ. შემდეგ ამისა მოვიდოდა ჯერი მეფობისა იულონის შვილზედ და შვილთა ზედა შემდგომთა მისთა ძმათა და სხვ.*) ანდერძი ასე დასწერა მეფემ, დაამტკიცა და აცნობა ხალხს.

გარდაიცვალა ირაკლი და ტახტზედ დაჯდა ბიორგი მე-XIII. მაგრამ ბიორგიმ ულალატა თავის მამის ანდერძს და მეცადინეობა დაიწყო, რომ მემკვიდრედ იულონი კი არა, თავისი შვილი დავით გაეხადა. მისმა მეცადინეობამ ამაოდ არ ჩაიარა; მან დამალა ანდერძი, გამართა მიწერ-მოწერა რუსეთის იმპერატორთან, რომელმაც მემკვიდრედ დავით დანიშნა. იულონი და მისი ძმანი მოშორდენ სამეფო კარს და დაიფანტ-

*) ცხოვრება მეფის გიორგი მე-XIII, ს. ობოლიანისა—თავი XXV. Акты Кавказ. Археографической коммисіи, т. I, стр. 224.

ვალ მომრიგებელთ, ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ, უნდა ეზრუნათ იმისათვის, რომ კეთილი განწყობილება ჩამოეგდოთ მემამულეთა და გლეხ-კაცობის შორის; ისინი უნდა ცდილიყვნენ, რომ გლეხ-კაცობას თან-და-თან შეესყიდნა მემამულეთაგან მისდამი მიჩენილი მიწა-წყალი; მათი მოვალეობა, როგორც თვით მათი წოდება გვიმტკიცებს, შუამავლობა და მომრიგებლობაა.

მაგრამ, რეფორმის შემოღების შემდეგ, ოცი წელიწადი გადის და მხოლოდ უმცირესს ნაწილს გლეხ-კაცობისას შეუსყიდნია მიჩენილი მიწა-წყალი, და დღემდის საზოგადოდ გლეხი ვერ გამხდარა სოფლის დამოუკიდებელი მფლობელი, რის გამოც, სხვათა შორის, გლეხ-კაცობის მატერიალური მდგომარეობა სანატრელს წერტილზე ვერა სდგას; მაშასადამე, რეფორმის დედა-აზრი მხოლოდ აზრად დარჩა და ხალხში ფეხი ვერ მოიკიდა.

ცხადია, რომ გლეხ-კაცობისაგან მამულების შეუსყიდველობა ბრალად უნდა ჩაეთვალოთ უფრო შუამავალ მომრიგებელთ, რომელთა მოვალეობა იყო ყოველ გვარის ღონის-ძიებით აეჩქარებინათ მათდამი მინდობილი საქმე და გაეადვილებინათ გლეხ-კაცობისათვის მამულების შესყიდვა. სამწუხაროდ, ჩვენში შუამავალ მომრიგებელთა ინსტიტუტს ვერ გაუ-

---

მართლებია საზოგადო იმედები; სჩანს, რომ მათ რიგიანად ვერ შეუგნიათ რეფორმის დედა-აზრი, თავიანთ მოვალეობა, საქმის მნიშვნელობა, მაშასადამე, ყოველივე ისა, რაიცა მათთვის აუცილებლად საჭირო იყო; ამიტომაც შუამავალ მომრიგებელთა ინსტიტუტი გულ-გრილად მოჰკიდებია საქმეს, იქნება იმიტომ, რომ პირადად მისთვის საქმის დაუბოლოვება სასარგებლოც იყოს; მაგრამ რაც მისთვის პირადს სარგებლობას შეადგენს, ის ამ საქმეში ქვეყნის მავნებელი და მაზარალებელია. შუამავალ მომრიგებელთ არ უნდა დაივიწყონ, რომ გლეხ-კაცობისგან მამულების შეუსყიდველობა და მით საქმის დაუბოლოვება ორ წოდებათა შორის განხეთქილების დაუშრობელი წყაროა.

მაგრამ არის ერთი უკანასკნელი მიზეზი, რომელიც მომრიგებელ შუამავალთ საქმის დაჩქარებასა და კეთილად დაბოლოვებას უშლის: ეს დაწესებულება მჭიდროდ შეკავშირებულია თვით საქმესთან, და როდესაც საქმე საკეთილოდ დაბოლოვდება, გლეხ-კაცები მამულის შესყიდვას გათავებენ და მემამულეებთან მორიგდებიან, მაშინ მომრიგებელ შუამავლის თანამდებობა საჭირო აღარ იქნება და, რასაკვირველია, გაუქმდება კიდეც. ეს გარემოება, როგორცა ვთქვით, ძალიან ხელს უშლის თი-

---

ნენ. ზოგი ქართლში წავიდა, ზოგი კახეთში.

იულონის დედამ დარეჯანმა, რომლის სასახლე ავლაბარში იმყოფებოდა, დაიწყო მეცადინეობა, რომ ირაკლის ანდერძი ასრულებულიყო; მაგრამ ბიორგიმ წაართვა მას მიწები და აღუკრძალა შვილთ მისი ნახვა. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ბატონიშვილთ, უფრო აიკრუვეს გული თავის ძმაზე და სხვა და სხვა უწესოებას მიეცნენ.

როდესაც იულონი*) ქართლში სცდილობდა, რომ თავის-თავი მეფედ აღვიარებინა, ბიორგის-ძე, დავით ბატონიშვილი, კახეთში იმყოფებოდა და ხალხს თავისკენ იზიდავდა.

მთელი საქართველო გაიყო ორ ნაწილად; ქართლი იულონისაკენ იყო და კახეთი დავითისაკენ.

ქართლის ეკლესიებში სამლოდველოება მეფედ იხსენიებდა იულონს, რომლისა გამო გენ.-მაიორმა ლაზა-

*) იულონი ოცდა-ორის წლის იყო, როდესაც მეფის სახლ-კარს მოშორდა. იგი იყო შირფერი, ამპარტავანი, დაფარული ხასიათისა და ჭკონდა პატიოსნური სახე. Матеріалы для исторіи Кавказа съ 1722—1803 г. П. Г. Буткова, т. II, стр. 157.

თონ საქმეს. ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს ეს ნაკლი იმითი იყო აცილებული, რომ ამ თანამდებობაზე ინიშნებოდენ საზოგადო სიკეთისათვის თავგამოდებულნი, პატიოსანნი და ქვეყნის ერთგულნი პირნი, რომელნიც მზად იყვნენ თავიანთ საკუთარი სარგებლობისათვის არ მიეხედნათ, ოღონდ საქმე რიგიანად გაკეთებულიყო. მაგრამ ეხლა ბევრია ამ გვარი პირი მომრიგებელ შუამავალთა რიცხვში? ამ კითხვაზედ პასუხის გება თვით მკითხველისათვის მიგვინდვია.

შინაური ქრონიკა

ოთხშაბათს საღამოზედ, რვა საათზედ, სამეურნო საზოგადოების ზალაში შეიკრიბნენ როგორც წევრნი ამ საზოგადოებისა, ისე სხვა უცხო პირნიც, რომელთა შორის მოჩანდენ რამდენიმე ტყის მცველნი (ლესნიჩები), ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. სუმბათოვი, წარმომადგენელი სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი ბ. ტიხეევი, ბ. სტატკოვსკი და სხვ. საგანი ლაპარაკისა ამ საღამოს იყო შემდეგი: საჭიროა თუ არა, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან შემუშავებული პროექტი შესახებ ტყეების დაცვისა გავრცელდეს კავკასიაზედაც? თუმცა ზოგიერთნი აძნელებდენ საქმეს და ამტკიცებდენ, რომ საქმით შესრულება ამ ზომებისა გაძნელდებაო, მაგრამ ყველანი მაინც იმ აზრისანი იყვნენ, რომ ჩვენს ქვეყანას აუცილებლად ეჭირვება ტყეების შენახვა, თორემ ცუდი მომავალი მოელისო. მადლობა ღმერთს, რომ ამ აზრმა მაინც ისე გაიდგა ფესვი ხალხში, რომ ერთმა წევრმა წარმოსთქვა კიდეც,—რომ მეკითხებით, საჭიროა თუ არა ტყეების დაცვა, ეგ იმასა ჰგავს, რომ მკითხოთ, საჭიროა თუ არა ჭამა და სმაო. ამ აზრს ბევრნი იმასაც უმატებდენ, რომ ტყეების დაცვის გარდა, აუცილებლად საჭიროა ახლად ტყეები გაშენდეს, მეტადრე ფერდობებზედ, სადაც ნიაღვრის წყალი ხშირად ჩარეცხავს ხოლმე ნიადაგს და მოტიტვლებულ კლდეებსა სტოვებსო. საზოგადოდ ამ საგნის დაწვრილებით განსახილველად ამოირჩიეს კომისია შვიდის წევრისაგან შემდგარი. კომისიაში არიან ტყის საქმის მცოდნენი: ბბ. ზაქრაძე, ზამრეკელოვი, მაშგრაფი, პოლიატოვი; მომრიგებელი მოსამართლე ტფილისის მაზრისა ბ. ყორღანოვი; თ. დ. ბარათაშვილი და სმირნოვი. კომისიას ათი დღე მიეცა ვადა თავის პროექტის წარსადგენად.

ჩვენდა სასიამოვნოდ, სამეურნო საზოგადოებამ ბოლოს დროს ცოტა სიცოცხლე გამოიჩინა: გასინჯა აქციზის საქმე, ეხლა სინჯავს ტყის საქმეს და მალე სხვა საჭირო საგნებსაც შეუდგება, მაგრამ თავმჯდომარე მეტის-მეტად ბევრს ალაპარაკებს საზოგადოების წევრებს: მთელი საღამო მოანდომეს იმას, ტყეების დაცვა საჭიროა თუ არაო, თუმცა ამ დედააზრის წინააღმდეგი არავინ იყო.

ბძელი სიტყვა თუ მოკლედ ითქმის, მოკლე აზრი უფრო მოკლედ არ ითქმის, ბ. თავმჯდომარე!

ჩვენის ქვეყნის ყოველი კუთხიდგან დიდსა და ხანგრძლივს თოვლს უჩივიან. ამ თოვლს მეტად დაუზიანებია ის მხარეები, სადაც თბილის ჰავის გამო თივასა და ბზეს არ ინახვენ და ზამთრობითაც საქონელი მინდორში დაუდით. მეტადრე ბორჩალოს ძალიან დასჩნევია საქონლის უსაჭმელობა. ეხლა მაინც შეიგნონ ბორჩალოელებმა მომავალზედ ზრუნვა და ყოველთვის თბილი ზამთრის იმედით გულ-დამშვიდებულებმა არ დაიზამთრონ ხოლმე.

საბრალო ხაშმი მოთმინებიდამ გამოსულა. ჯერ იყო და ორმოც თუმნისათვის მუღანლოელი თათრებისა და გომბორელების ეკზეკუცია ჩაუყენეს, ეხლა ამ ორმოც თუმნიან «ნედოიმკას» უბარტყნია და ას-ოც თუმნად გადაქცეულა. ხალხს დეპუტატები ამოურჩევია და პირ-და-პირ გუბერნატორთან გაუგზავნია საჩივლელად. ბევრი უჯავრია მოწინააღმდეგე მხარეს საჩივარზე, უნდოდა თურმე ხელიც აელებინებინა, მაგრამ მაინც ვერას გამხდარა.

ამ ამბების მოწერას აქაურ სოფლის მასწავლებელს აბრალებენო, გვწერს კორესპონდენტი, მაგრამ განა თუ არ მასწავლებელს, სხვას არავის აუღელვებს გულს ეს საზიზღარი ამბავიო!

თელავიდამა გვწერენ: «ეს ერთი კვირაა, რაც თელავის სასულიერო სასწავლებელში ცხარედ მუშაობს სარევიზიო კომისია. კომისიას ვალად აძევს ყოველი დაწვრილებით გაჩხრიკოს ამ სასწავლებლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, 1875 წლიდამ დაწყებული 1882 წლამდე. კომისიამ დიდის ბეჯითობით გაათავა ეს მძიმე მონდობილობა სამღვდელოებისა გუშინ, ცხრა თებერვალს, და ყოველი აღმოჩენილი აცნობა ექსარხოსს. კომისიამ აღმოაჩინა მრავალი უწესოება, განსაკუთრებით იმ დროისა, როცა სასწავლებელში რამდენიმე ხანს არსებობდა პანსიონი. დასასრულ კომისიამ მოიწადინა კასის შემოწმება და, როცა ბ. ზედამხედველი ნებას არ აძლევდა, კომისიამ ტელეგრამით აცნობა ეს ამბავი ექსარხოსს, რომლისაგანაც მაშინვე მიიღო სრული ნება თვისის განზრახვის შესრულებისა. შეამოწმესო აქაც ბევრი უკანონობა აღმოაჩინეს, მაგრამ ამაზე დაწვრილებით შემდეგ»...

იქიდამვე გვწერენ: «კოლა მახვახოვის ბებრის მკვლელი აღმოაჩინეს. ეს არის ერთი ლეკი, რომელიც მკვლელობის წინად თელავის ციხეში იჯდა, კოლა მახვახოვთან ერთად და იქ დაერიგებინა კოლა მახვახოვს, რომ ბებია ჩემს ბალიშს ქვეშ ორასი თუმანი უძევს, წადი მოჰკალიო, მაშინ იტყვიან, ეგეც ხომ მე არ მოვკალი და გამომიშვებენო. როცა გამომიშვებენ, ას თუმანსაც მაშინ მოგცემო. მართლაც, ლეკი გამოუშვათ თუ არა, მაშინვე ღამით შესულიყო საწყალი ბებრის სახლში და, როცა იმ საცოდავს, ეფიცნა, რომ არა მაქვს მე ორასი თუმანი, გარდა ორი მანეთისაო, ლეკს ყელი გამოეჭრა, აელო ხანჯალი, თოფი, ვერცხლის კოვზები და წასულიყო დაღესტანში. მკვლელობის უმალვე გამომძიებელს ანდრონიკოვს მოეკითხნა ციხის ზედამხედველისათვის, თუ ვინ გამოუშვეს იქიდამ ამ ცოტას ხანშიო. სხვათაშორის, ეთქვათ, რომ ორი ესა და ეს ლეკი გამოუშვეს. ამ დროს დაღის-

რევმა მიჰმართა კათალიკოზს ანტონს, რომ მას აეკრძალა სამღვდელოებისათვის იულონის მეფედ მოხსენება, იმიტომ რომ მეფე ჯერ არ არის ამორჩეულიო და ეგ ეწინააღმდეგება რუსეთის იმპერატორის ნებასაო *).

როდესაც ძმებმა დაიწყეს უწესოებანი, გიორგიმ მოიხმო ავარიის ხანისაგან 3000 ლეკი და მცველად დააყენა ავლაბრის ხიდთან. ძმებს თურმე უნდოდათ მათი შეპყრობა, მაგრამ მცველებმა არა ჰქნეს და ეს მეფეს შეატყობინეს. მეფე ძალიან განრისხდა და უბრძანა მაშინათვე მხლებელთ, რომ დედოფალი დარეჯანი შეეპყროთ სატუსაღოში. მაშინ ბატონიშვილებმა მიიმხრეს თავისკენ ავარიის ყაენი ომარი. «დიდი შიში იყო სპარსთაგან და ომარხანისა, ამ შიშს დაერთო ძმათა ამბოხი. იულონ, ვახტანგ და ფარნაოზ აორგულებდენ ქართლსა და არაგვსა, ორჯერ მოუხდენ ქალაქსა 4,000 კაცითა და უნებდათ თავის დედის დარეჯანის

*) Акты Кавказской Археографической коммисіи, т. I; стр. 231. Отдѣлъ «Грузинскій царскій домъ».

წაყვანა ტფილისიდამ *). გიორგიმ მცველად დააყენა 800 კაცი რუსის სალდათი. როდესაც ძმები ამითიც ვერას გახდენ, იულონმა მიჰმართა დუშეთიდამ რუსეთის ხელმწიფეს შემდეგის თხოვნით (7 ოქტ. 1800 წ.): «შემდგომად ალსვლისა მეფისა გიორგისა, ირაკლისა ძისა, ძმისა ჩემისა, სამეფოსა ზედა საქართველოისასა, დაქვრივებული დედა-ჩემი დედოფალი დარია და ჩვენ ძენი მისნი, მოვაკლდით მისგან შემდგომთა ჩვენთა სამართალთა, პატივთა და სარგებლობათა, ე. ი. მეფობის მემკვიდრეობასა ძმათა ზედა ჩამოსარიგებსა და სხვათა, რომელნიც წერილობითითა განსვენებულის მეფისა ირაკლისა, მშობელისა ჩვენისაგან, დებულობითა დატევებულ გვაქვნდა ჩვენ, თანასწორითავე ხატითა მოცემულიცა ჩვენდა სახელითა ყოვლად ძლიერისა ღვთისათა. თვით უკვე მისის სიმაღლისა მეფის გიორგისა, ძმისა ჩემისაგან, დასამტკიცებლად სამართალთა ჩვენდა შეთვისებულთა წერილობითი პირობა კერძოთავე მისით დაშთომილ არს დახსნილად და ამასთან განვიცდით ჩვენ მის მიერ კნინლა ყოველთა დღეთა შინა ცხადითა ქადილებითა და დაფარულითა მეძოებლობითა სხვათა და სხვათა ხატედთა დაჩაგვრათა მოუთმენელთა, რომელთაცა ტვირთისა უმეტეს ვერღარა ძალ-მექონი; ძმაცა ჩემი, მეფის ძე ალექსანდრე მიცემულ არს ურჯულოთადმი, ხოლო დედა ჩემი მის მიერვე მოკლებული უძრავთა ქონებათა და სარჩოთა, ბრძანებითავე ხსენებულისა მეფისათა იმყოფების მხედველობასა ქვეშე მაღალ სახელოვანის თქვენის დიდებულების მხედრობისასა, რომელსაც ბრალად დასწერიეს სურვილი ოდენ შვილთა თვისთა ხილვისა. ჩვენ, ძეთა მეფისა ირაკლისათა, სხვათა და სხვათა მიზეზებისა მოცემითა გაგვზღუდიეს გზანი სვლად მამისა ჩვენისა სამფლობელოთა შინა; და ამასთან ერთაგანნი სამეფოსა მის, რომელნიცა მეცადინობენ თანა-მდებობითსა დედისა ჩვენისა, ანუ ჩვენსა პატივის-ცემასა, მარადის შევრდომილ არიან ფრიადსა რისხვასა ქვეშე ხსენებულისა მეფისასა, რომლითაცა სჩანს სურვილი მისი, მამულისაგან ჩვენისა სრულიად მოსპობისა ჩვენისა. ხოლო აწ ხსენებული მეფე გიორგი იმყოფება მძიმესა სნეულებასა შინა და თუ ჟამთა ვითარებისაგან გარდაიცვლება იგი, მაშინ ვიჭვეულებ, რათა ტახტი მეფობისა არა მიიღოს მისგან მემკვიდრედ არჩეულმან ძემან მისმან დავითმან, და ჩვენ, ძენი მეფისა ირაკლისნი, დავშთედ უნაწილოდ სამართლისა, მამისა ჩვენისაგან ჩვენდა დატევებულისა». შემდგომ სთხოვს, უბძანოს კავკასიის მმართველს, რათა მან შეჰკრიბოს სამღვდელოება და ერი და ჰკითხოს, თუ ვის ეკუთვნის სამეფო ტახტი *). ამასთანავე თხოვნა ძმებმა მისცეს კავკასიის მმართველს გენერ. კნორრინგს (8 ოქტომბერ. 1800 წ.), რომელმაც უპასუხა ბატონიშვილებს, მოთმინება იქონიეთო. ბატონიშვილებმა მისწერეს ისევ, რომ მოთმენით მოვითმენთო, მაგრამ მეფე გიორგი გვემუქრება, რომ განგვდევნის საქართველოდამ რუსების ჯარის შემწეობითაო **).

ბატონიშვილები აგროვებდენ ქართლში ჯარს და ემუქრებოდენ გიორ-

*) «ივერია» 1880 წ. № II. ბლ. იოსელიანის წერილი.

*) Акты, собран. Кавказс. Археограф. коммис. т. I, § 189. отдѣлъ III «Грузинскій царскій домъ».

**) Ibidem, გვ. 226. იულონის დროს საქართველოში 15000 ჯარი იყო რუსების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანის უფროსი თ. ნ. ჭავჭავაძეც კახეთში იყო, რომელსაც, აცნობა რა ეს ამბავი, სთხოვა, რომ იმ ლეკების სახლი გაესინჯათ. ჭავჭავაძეს ებძანებინა ეს და მართლაც იმ ლეკის სახლში იპოვეს ქოლა მახვახოვის სახლიდამ წაღებული თოფი, ხანჯალი, კოვზები ზედ-წარწერით საცოდავი მოხუცის სახელისა და სხვ. ლეკი დაიჭირეს, თელავში მოიყვანეს და ყოველიფერი განაცხადა».

ს. ქოლაკიდამ (სიღ. მაზრ.) გვწერენ: «უეცარმა თოვლმა ძნელი საქმე უყო ერთი თავადიშვილის სახლს. ერთი გვერდი ჩამოწვა სახლისა და რაც ჭურჭელი იყო, თუ სხვა ავეჯეულობა, სულ დაილეწა. კიდევ კარგი რომ ადამიანი არ იყო იმ დროს შიგ, თორემ უბედურობა რამ მოხდებოდა. ამავე სოფელში თოვლმა ერთი მარნის კოჭიც დალეწა. შიგ მოიტანა ორი კაცი. კოჭი თუმცა ასცდათ ამათ, მაგრამ მაინც ძლივს ცოცხალ-მკვდრები გამოათრიეს».

სიღნაღიდამ გვწერენ: «ახლავ დაეტყო სიღნაღის მაზრას ხორცეულის სიძვირე. სიღნაღში წინად ღორის ღორცი გირვანქა იყიდებოდა 5 კაპ., ეხლა გახდა 7 კაპ. ცხვრის ხორცი და ძროხის ხორცი გირვანქა 8 კაპ. იყიდებოდა, ეხლა კი 10 კაპ. გახდა. ეს სიძვირე იმით აიხსნება, რომ უსაჭმლობამ და ავადმყოფობამ დიდ-ძალი საქონელი და ცხვარი გააფუჭა და რაც დარჩა, ვეღარ იმეტებენ გასაყიდად».

იქიდამე გვწერენ: «ისევ ბუნება თუ გვიშველის რასმეს, თორემ... ეგრე რიგად ყურს არ იბერტყავს ქალაქის სისუფთავეზე. თოვლი დნება და რუებს მიაქვს ხევში ქუჩების უსუფთაობა. ეს კიდევ მადლობა ღმერთს, თორემ თქვენი მტერი, ვინ გაივლიდა სიღნაღის ქუჩებში, იმ საშინელ ლაფში.

როგორც ქურ. «Гражданинъ»-ს შეუტყვია, თ. დონდუკოვ-კორსაკოვს წარუდგენია, სადაც ჯერ არს, თავისი აზრი შესახებ სასამართლოების მდგომარეობისა კავკასიაში. ავტორის სიტყვით, უმთავრესი ნაკლულევანება ჩვენებური სასამართლოებისა შემდეგია: 1) მსაჯულს არ ესმის მოჩივრის ენა და მოჩივარს მსაჯულისა; 2) დიდი განსხვავება სუფევს იმაში, თუ როგორ ესმის იურიდიული სიმართლე ხალხსა და როგორ ესმის იგი მსაჯულს.

რადგან კავკასიაში უფრო ბლომა დანაშაულობა ხდება, ვიდრე რუსეთის სხვა ადგილებში, და რადგან საჭიროა, რომ მთავრობამ გამოიჩინოს თავისი ძალ-ღონე სიმრთლის აღდგენით, ამიტომ საჭიროა: 1) გაიმართოს კიდევ სხვა, ახალი განყოფილებანი მომრიგებელი სასამართლოებისა; 2) დაინიშნონ ახალი საპატიო მომრიგებელი მოსამართლენი; 3) გაიმართოს მომრიგებელ მოსამართლეთა კრებანი. თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი ამასთანავე თხოულობს, რომ უეჭველად მიეცეს ადგილი გასამართლებაში აგრეთვე ხალხის შეხედულობას და მიღებულს ადათს; ამასთანავე, მოჩივრებს ჰქონდეთ ნება თავიანთი საქმე, თუ სურთ, გადაწყვიტონ ხალხურ ადათზე. შესახებ დანაშაულობათა გამოძიებისა, თ. დონდუკოვ-კორსაკოვის აზრით, საჭიროა მიეცეს უფლება პოლიციას, რომ ამან გამოიძიოს საქმე და თავისი გამოძიება პირ-და-პირ პროკურორს გადასცეს. გარდა ამ კერძო მუხლთა, ავტორი ურჩევს მთავრობას შემდეგ საშუალებას მიმართოს: ოლქის სასამართლოებში ჰქონდეთ ხმა ადგილობრივ საპატიო პირთაც; სასამართლოს შეეძლოს გადასცეს საქმის გადაწყვეტილება საპატიო პირებს, ადათისა და ხალხური შეხედულობისამებრ გასათავებლად.

ამ ცვლილებათა მოხდენაზე მთავრობას არ დაეხარჯება ფული, ამბობს თ. დონდუკოვ-კორსაკოვი, რადგან მისთვის საჭიროა სულ 160,000 მანათი, რომელიც ადგება მომრიგებელ სასამართლოების შემოსავლიდგანაო.

«დროების» კორესპონდენცია.

ქუთაისი. 15 თებერ. გუშინ გამოგზავნილს წერილში ორი შეცდომა მომივიდა სისწრაფის გამო. ქალაქის თავის ჯამაგირი 2,000-მდე კი არა 3,000-მდე არის ჩამოყვანილი. გამგეობის წევრის თანამდებობაზე ივ. სიმ. ძის მესხის გარდა, რომელმაც მიიღო 18 თეთრი და 17 შავი, კენჭი იყარეს და ღირსნი შეიქმნენ: ზ. ლუკაშევსკი 16 თეთრისა და 18 შავისა და ზ. ქვარიანი 14 თეთრის და 21 შავისა.

ამ არჩევანის გათავების შემდეგ, რომელსაც რამდენიმე კვირის განმავლობაში ეჭირა საზოგადოების ყურადღება, ეს უკანასკნელი მიიქცია ახლა ერთმა უჩვეულებრივმა ქორწინებამ... ერთი უგანათლებულესი თავადიშვილი, ფრიად მდიდარი და ფრიად ჩინოსანი, საცოლო თუმცა ხნიერი, მაგრამ რომელსაც შესტრფოდა ყველა წვრი მშვენიერი სქესისა, ქმრიანიც და უქმროც, მამები და დედებიც—და ყველა თავისთვის თუ თავის ასულისათვის ჰლამოდა—შედის საღამოთი თავის ნათესავთან, რომელთანაც გაიცნობს ერთს გასათხოვარს ქალს. ახლად გაცნობილნი ჩაუჯდებიან ნარდს. საქმროდ «აპროკებული» მისი უგანათლებულესობა და ცოლობის მნდომი «მისი ბრწყინვალება» ერთმანეთს სამხრეთის სისხლს აუღელვებენ და შემდეგ იკითხვენ: «რა ნაძლევზე ვითამაშოთ?»—რაც ორივეს უფრო გინდა—ეტყვის უგანათლებულესობა,—მაგ., მე ცოლი მინდა და თუ მომიგებთ ნარდს—ვისაც მიბძანებთ იმას შევირთავ! ქალმა ტაქტიკურად უპასუხა:—ბატონი ბძანდებით... და თუ თქვენ მომიგეთ, ვისაც თქვენ ამირჩევთ, იმას წავყვებიო...» გაისმა ჟღერა ნარდისა, შეიქმნა ტოკვა გულისა... მოუგო ერთჯერ, მოუგო მეორეჯერ „უგანათლებულესობამ“ ბრწყინვალებას...

— პირობაზე როგორ ხართ? ეკითხება გამარჯვებული დამარცხებულს.

— ძალიან კარგად... მზად ვარ შევასრულო... როგორც კი თქვენ ამირჩევთ.. (რა კაი მოსწრებული სიტყვის თამაში მოუხდა!)...

— ბატონი ხართ,—მიუგებს გამარჯვებული,—იღებს ალბომს, უჩვენებს თავის საკუთარს სურათს და ეტყვის: «თქვენთვის ეს კაცი ამირჩევია, რომელიც მზა არის ეხლავ ჯვარი დაიწეროსო».

— რა ვქნა,—სინაზით უპასუხებს სასიამოვნოდ დამარცხებული,—უნდა აღვასრულო ჩემი სიტყვა...

გამარჯვებული გადაეხვევა თავის სა-

გის. ისინი უცდიდენ მხოლოდ რუსთ ხელმწიფის გარდაწყვეტილებას, თუ ვის დაუმტკიცებს სამეფო ტახტს, იულონს, თუ დავითს.

დეკემბერს 1800 წელს გიორგი ავად გახდა. მაშინათვე გაგზავნეს რუსთ ხელმწიფესთან, რომ მას დაენიშნა მემკვიდრე ტახტისა. პეტერბურგში გაგზავნილ იქმნენ დესპანნი თავ. ელეაზარ ფალავანდიშვილი და გიორგი ავალიშვილი. მათ დაბრუნებამდის მეფე გიორგი გარდაიცვალა 28 დეკემბერს 1800 წ.

მაშინათვე იულონმა და მისმა ძმებმა მიჰმართეს ხალხს შემდეგის წერილით: «სამღვდელოთა, საეროთა, ქედხუდთა და სხვათა,—მეფის ძეთა იულონისა, ვახტანგისა და მირიანის მიერ, მრავალი პატივის-ცემით მოკითხვა ეუწყოსთ. მერე ეს განგეცხადოსთ თქვენ, რომ რაც ჩვენს ძმას მეფეს გიორგიზედ ჩვენ სიკეთები მიგვიძღვის, ხომ ყველა კარგად იცით; როდესაც სანატრელი ჩვენი ხელმწიფე მამა მიიცვალა, მასუკან ან როგორ გავამეფეთ, ან როგორი ერთგულობა და სიყვარული ვაჩვენეთ და ან იმისი სამსახური და სიამოვნება როგორ მოვიწდომეთ; მაგრამ რაც იმისაგან ავი საქმეები მოგვივიდა, ან ბატონს დედოფალს დედა ჩვენს, ან ჩვენ ძმებს, ეს ყველამ ხომ კარგად იცით. ახლა ჩვენის ცოდვით და უბედურებით ჩვენი ძმა მეფე გიორგი მიიცვალა. ახლა თქვენ ხომ იცით მამი ჩვენის ანდერძი, რომ ძმებზე უფროს-უმცროსობით ჩამორიგებით განაწერა მეფობა და ის განწესება ქვეყანისაგან დამტკიცებული არის... იმიტომ რომ თქვენ სინიდისიანად მიცვნიხართ, რომ მეფის ირაკლის ანდერძის გატეხა ღმერთმან გაშოროსთ და ახლა ის ჟამია, (რომ) ყოველი სრული ერთგულობა და მორჩილება გვიჩვენოთ»*).

მთელმა ქართლმა დიდის აღტაცებით მიიღო ეს განცხადება იულონისა და ქართლის თავადებმა მაშინათვე მისწერეს თბილისის მელიქს შემდეგი თხოვნა: «თანაძმანი ერნი სრულიად ქართლისანი, მრავალს სიყვარულით აღვსილს მოკითხვას მოგახსენებთ. ყველამ იცით დიდიდამ მცირემდის სანატრელს მეფეს ერეკლეს მთლად საქართველოზე როგორი ღვაწლი და ამაგი აქვს; მრავალჯერ თავი გარდაუდვია ჩვენის გულისათვის, ვინცა ვართ იმასთან გაზდილნი და კაცებად გამოყენებულნი ვართ. ამ რიგად ღვაწლ დადებულმან მეფემ ჩვენის ქვეყნის აურევლობისათვის ანდერძი დასწერა; იმაზედ ყველას ხელი მოგვიწერია და ბეჭდით დაგვიმტკიცებია—ესეც ხომ კარგად გახსოვთ; თითონ მეფემ გიორგიმ ამის დასამტკიცებელი წერილი თავის ძმებს მისცა და დღეს ხელში უჭირავთ; გვგონია, ესე ყველამ იცოდეთ. ჩვენის უბედურობით ახლა მეფე გიორგი გარდაიცვალა. ახლა ეს გვმართებს ჩვენა, და ამაზედ ვდგევართ, რაც მეფეს ერეკლეს განუწესებია, სასიკვდილოდ თავი უნდა მივცეთ—ჩვენგან იმ ანდერძზედ გარდასვლა არ იქმნება. ჩვენ ერთად შევიყარენით, ბატონისშვილს იულონს და ფარნაოზს ვეახელით. მეფის ერეკლეს დიდებულის ანდერძით და თითონ მეფის გიორგის წერილით მეფობა ახლა იმისი არის; კიდეც შევფიცეთ, მეფეთაც ვაღვიარეთ, ჩვენზედ ამის გარდა სხვისა არცავისი მეფობა იქმნება, ვერც მეფის ერეკლეს ანდერძს გადავალთ»*). დასასრულ სთხოვენ მელიქს, რათა ხელმწიფეს მისწეროს ქართველების სურვილი.

1801 წ. იანვარში დაბრუნდენ ს.-პეტერბურგიდამ თავ. ავალიშვილი და ფალავანდიშვილი, რომელთაც მოიტანეს გრამატა მასზე, რომ მეფედ საქართველოში აღარავინ იქმნებაო, მხოლოდ ბატონიშვილი დავით საქართველოს მმართველად ინიშნებაო. გენ. ლაზარევმა სთხოვა იულონს (რომელიც მაშინ დუშეთში იმყოფებოდა), რათა მოსულიყო თბილისს და მოესმინა სამინისტროს გარდაწყვეტილება. მაგრამ ამაზე იულონი არ დასთანხმდა და სთხოვა მასთან გაეგზავნა გრამატა. გენ. ლაზარევმა თვით გრამატა კი არ გაუგზავნა, არამედ კოპიო გრამატისა თავის დაწერილი. აი, როგორ სწერს საქართველოს მმართველად დანიშვნის თაობაზე ბატონიშვილი დავით: «1801 წ. მოვიდენ რუსეთიდამ თავადნი ფალავანდიშვილი და ავალიშვილი და მომიტანეს მე, როგორც მემკვიდრეს სამეფოისას (???) აქტი, სამინისტროისგან დამტკიცებული»*).

(დასასრული შემდეგ)

*) Акты Кавказской археографической коммиссіи, т. I, 194.

*) Акты Кавк. арх. ком. т. I, 196.

*) Краткая исторія о Грузіи, царевича Давида стр. 144.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოლოს, სატოლო საქმროს და პირდა-პირ ნარდის თამაშობიდამ ეკლესიაში გასწყვენ და ისკვნიან გვირგვინს მეუღლეობისას...

ორი წლის წინად ამ ასალმა სიძემ ერთს ქალს, გამოუთქვა შემდეგი ორ სტრიქონიანი ლექსი:

წუალ-გალმა ბუ იმასოდა, წუალ გამოღ-
მა ოდოდიო:
უოველ ქალს ოითო ქმარი ჭუავს...
ოროდიო!

ასლა კი მასზედ გულ-ნატკენმა ქალებმა, მოიგონეს რა (გეიანდაა!) ამ სასიძოს წასრული ცხოვრება გამოუთქვეს ეს:

აკარაში სსარტულია, იმერეთს აკანა-
თი. *)
ბეკრ კაცს თითო ცოლიც არ ჭუავს...
კი ათ ათი!...

ანეკა.

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

15 თებერვალს.

კეტერბურგი. ხელ-ახლად აღმოჩრჩეულმა გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა გრაფმა ბობრინსკიმ დალია სადღეგძელო თავად-აზნაურობისა, როგორც მოწინავე წოდებისა, რომელიც განუწყვეტლად დაკავშირებულია გლეხ-კაცობასთან და ერობასთან და რომელიც პატიოსნურად ასრულებს თავის ვალს, როგორც უახლოესი და უმკვიდრესი ტახტის ბურჯი; გრაფმა შემდეგი სიტყვებით დააბოლოა: «მე ვსვამ ყველა თავად-აზნაურების სადღეგძელოს, პირველის რუსის თავად-აზნაურის რუსეთის მეფედამ დაწყებული უკანასკნელ თქვენგანამდე. გაუმარჯოს რუსეთის თავად-აზნაურობას!

გუშინ წმინდა კირილე და მეთოდის ათასის წლის დღეობის მოსახსენებლად საბჭოს დიდს ზალაში მოსკოვის მიტროპოლიტის თავმჯდომარეობით შესდგა წლიური კრება სლავიანურ ქველმოქმედ საზოგადოებისა. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, მოსკოვის მიტროპოლიტმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, რომლითაც იწვევდა მთელის რუსეთის ხალხს სლავიანთა შესაწევნელად. ამ სიტყვას მოჰყვა ხელის-მოწერა გალიციის ღარიბ ოჯახობათა სასარგებლოდ, რომლიდამაც კარგა ფული შესდგა.

«ნოვოე ვრემია» ამბობს, რომ ტყუილია—ვითომც დიდმარხვის სამს კვირეს რუსული დრამატიული წარმოდგენებისა და ოპერების გამართვის ნება იძლეოდესო.

ბერლინი. აქ მოვიდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლ. ძე, რომელმაც ნახა იმპერატორი ვილჰელმი და რამდენიმე პრინცი და პრინცესა. დიდმა მთავარმა ნახა აგრეთვე ფელდმარშალი მოლტკე, მინისტრები და ელჩები.

კაირი. ხვალ ასუანში მიდის რამდენიმე ეგვიპტელი ბატალიონი ინგლისის ოფიცრების კომანდის ქვეშ.

16 თებერვალს.

კეტერბურგი. დღეს გარდაიცვალა აქ შეერთებული შტატების ელჩი გენტი.

ბერლინი. დღეს შეადგის შემდგომ გერმანიის იმპერატორმა თანადასწრებით მემკვიდრე პრინცისა, სამეფო გვარეულობის პრინცებისა, რომელთაც გიორგის ჯვრები აქვთ, გრაფი მოლტკესი, გენერალ-ადიუტანტის იფლიგელის და ადიუტანტებისა. მიიღო რუსეთის დეპუტაცია. დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ მიულოცა იმპერატორს ვილჰელმს სრულიად რუსეთის მაგივრად; ამასთანავე გარდასცა მისის დიდებულების საკუთარის ხელით დაწერილი წერილი და ფელდმარშლის კვერთხი, ბრილიანტებით შემკული; ხოლო კალუქის პოლკის კომანდირმა პოლკის მაგივრად მიართვა იმპერატორს საჩუქრად გიორგის ჯვარი. დღეს იმპერატორს გამართული აქვს დღესასწაულებრივი სადილი, რომელზედაც პატიქებულნი არიან: პრუსიის სამეფო გვარეულობის წევრნი, რუსეთის დეპუტაცია, რუსეთის ელჩობა, პრუსიის გიორგის კავალერები და მინისტრები.

დარმიშტადტ. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს-ძე ირთავს გესსენ — დარმიშტადტის პრინცესას, ელისაბედს, რომელიც 1864 წელში არის დაბადებული.

კაირი ინგლისლებმა ტრინიკიტატიდამ 4 მილზე წინ წაიწიეს და იქ მდებარე პორტი დაიჭირეს; მტერი გაიქცა; ხუთშაბათს ინგლისლები კიდევ წინ წავლენ ელტებუსაკენ, სადაც ბრძოლას მოელიან. სეაკიმში მოსული ცეცხლის გემის კაპიტანმა უარი გამოაცხადა ტრინკიტატში წასვლაზე. ჰიეტმა დაატუსადა იგი და მისი კომანდა ინგლისელ ლეიტენანტებს ჩააბარა.

განცხადებანი

ბემბია არჩენს მშობიარებს, დიფტერიტით ავადმყოფებს და აგრეთვე მუწუკიანებს უებარი მალამოთი. ადრესი: პატარა წულის ქუჩა, სახლი № 7. (7—6)

ინგლისური რკინის კრავატები



ერთის სიგრძე 7 მანეთიდგან და ორის სიგრძე 14 მანეთიდგან, მათი ღეობები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, კიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, ბრინჯისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყალ, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარეკელები, სამარილეები, გარჩიტის საფსკვნები, უნაგირები კატისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, სურხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რეკოლვერები, ბიუები, ზარიადები, კაბსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერბრუტები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, ბიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—62)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომუკანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—98)

მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის ბომბა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუნები და სხვ.

ჟურნალი „ივერია"

(წელიწადი მერვე)

ამ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სიერცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება

თბილისში: შაევრდოვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქავ, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, პილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія».

ხელდრი ფული ხელის-მოწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

(10—10) რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქადალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა ბუარბელი სხვა-და-სხვა გვარის კალმებ, ოვალის „სელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქადალდ, კანვერტები, რეკულები, ლაქი, კარანდაში, ფანალი, კალმები, ბუმაგნიკები, ბორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშვები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა სალესი, იატაკისათვის კლეონკები. ტახტები, საკარძლები, სარკეები, სავარცლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ბატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სკისტოკი, ბომბჩი, ქამრები, სარტულები. საუელური, ბრობკები, საბრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმეო ქადალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—32)

*) დიდი ჩიტების დასაჭერი მახე.

Дозв. цензур. Тифлисъ, 16 Февраля 1884 г. ქ. სელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ძართველიშვილი. რედაქტორი ი. ბარბელი.